№ 144

ხუთშაბათი, 5 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 144

ხუთშაბათი, 5 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—58)

ხუთშაბათს, 5 მკათათვეს, საღამოს 8 საათ. ქართულის თეატრის ფოიეში მოხდება გაგრძელება **ქართულის დრამატიულის საზოგადოების საგანგებო კრებისა.**

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოხსენება და შემოსავალ-გასავლის ანგარიში.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) არჩევა გამგეობის წევრის ორის კანდიდატისა და
4) არჩევა სარევიზიო კომისიის ორის წევრისა.

უკანასკნელის საგნის განხილვა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დამსწრე წევრთა რიცხვი 25 ნაკლები არ იქნება.

დაბეჭდილი ანგარიში მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ დრ. საზ. კანტორაში 2 მკათათვიდგან.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოდ).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მგალობლი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოზოვი—საქირურგო—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. გეშელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არზანიანცი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ გუბერნსკი სეკრეტრობა: კიევის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ბოლქვაძესა და ტფილისის სასამართლო პალატის თანამდებობათა კანდიდატს გაბაშვილს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 3 ივლისს, სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც საბჭომ დაავალა შეუთანხმდეს ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა კომისიებს საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ დავესწარი კრებას აქაურ და იმერეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისას, რომელნიც შეთანხმდნენ დღესასწაულის გარდახდის საქმეშიო. მთავრობის ნება-რთვით, ამ რიგად იქნება მოწყობილი დღესასწაული: 25 სექტემბერს დილით მოხდება სადღესასწაულო კრება ამერ-იმერეთის თავად-აზნაურთა, შემდეგ სიონის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, 26 სექტემბერს კიდევ პარაკლისი. შემდეგ სადილი იქმნება გამართული ტფილისში მყოფ ჯარისათვის თავად-აზნაურთა და ქალაქის სახელით; საღამოს წარმოდგენა გაიმართება; 27—სახალხო დღესასწაულს გამართავს კავკასიის მთავარ-მართებელი, ხოლო საღამოზედ სადილს თავად-აზნაურობა. ამ სადილზედ საპატიო სტუმარნი იქმნებიან მიწვეულნი. 28 სექტემბერს ქალაქი გამართავს საუზმეს, თავად-აზნაურობა ბალს; ხოლო საღამოზედ „ფეიერვერკს“ ისევ ქალაქი. ქუჩები, სადაც დღესასწაული გაიმართება, გაჩირაღდნებული იქნება ქალაქის ხარჯით; ამას გარდა საჭირო ადგილებზედ დადგებიან საპატიო ყარაულები, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურ-

ფელეტონი

მარიამ შოტლანდელი

ხუთ-მოქმედ. დრამა

თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.

თარგმანი ინ-ანისა.

(დასასრული *)

გამოსვლა II.

იგინივე. შიკრიკს წერილი შემოაქვს, ბოტველს გადასცემს და გავა.

ბოტველი. (კითხულობს, ფითრდება, კვლავ კითხულობს და დამშვიდებულის კილოთი ამბობს). ცრემლებს ტყუილად არა ჰღვრიდით,—მართლაც რომ სატირალია!

დედოფალი. (მოუძლურებულის ხმით). სულ ერთია, ჩემს ტანჯვას აღარა მოემატება-რა. ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

ბოტველი. მაშ ყური მიგდეთ: ორკადის კუნძულების ჰერცოგს, გრაფს ბოტველს. დედოფლისა და სახელმწიფოს დასაცველად ამით გიცხადებთ, რომ ამიერიდგან თქვენთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი გვაქვს. დენბარის გზიდგან, ლორდთა კავშირის სახელით—მაიტლენდ „გრაფი ლეტინგტონი“. (პაუზა. დედოფალი მთლად გაფითრებული წამოდგება).

ბოტველი. მოღალატენი! ვფიცავ ჯოჯოხეთს, მიღალატეს!

დედოფალი. როგორც ამბობდით, კეთილშობილნი...

ბოტველი. ფიცი გასტეხეს, ფიცი, რაიცა ყველაზედ უწმიდესია დედამიწის ზურგზედ! მაგრამ არა უშავსრა, ინანებენ!

დედოფალი. აი, თურმე რა ყოფილა ის მფარველობა...

ბოტველი. აგერ, ყვავებიც უკვე მოჰფრინვენ!

გამოსვლა III.

იგინივე. მეორე შიკრიკი.

ბოტველი. აბა, დასჩხავლე!

შიკრიკი. აუარებელი ცხენოსანი მინდორს შავად მოეფინა, ციხისაკენ სწრაფად მოდიან.

ბოტველი. ხიდები აჰყარეთ, ცხენები დაკაზმეთ! (შიკრიკი მიდის).

დედოფალი (შეშინებული). როგორ, გავიქცეთ?

ბოტველი. დიახ, მაგრამ მოვბრუნდეთ ისრე, რომ თვით ეშმაკმაც-კი ვეღარ იხსნას იგინი ჩვენის მახვილისაგან! (დედოფალი თან-და-თან უფრო მოუძლურდება). აი, თურმე ეს გინდოდა, ცბიერო ლეტინგტონ, რომ მე გზა გამეწმინდა და ციხეში-კი შენ შემობრძანებულიყავ! და თქვენ-კი, ლორდნო შოტლანდიისანო, პირველობა გეწადათ? მაგრამ, ვგონებ, ცოტა წინ გაგისწარით! ახლა-კი ისევ ძველთაგან-ძველის ხევ-ხუვებში ჩავსხდეთ! დროშა, აღსდექით, თამამნო მთიელნო, მძინარე მინდორს ისარივით დაეშვით და თქვენის ცეცხლითა და სიმღერებით სასიკვდილო ქარიშხალსავით მოედევით. ვინც გაიმარჯვებს, დედოფალსაც ის მოიხვევს, ქვეყანასაც ის დაეპატრონება!

დედოფალი. საშინელებაა! საშინელება!

ბოტველი. (სასწრაფოთ). არა, რაკი მწვერვალს ფეხი მოვკიდე, აღარ დავემორჩილები! კვლავ ძველებურად შევკრებ მეომრებს, კვლავ დავამარცხებ ძველებურადა! შოტლანდიის ლომი ნახტომს აპირებს! მალე ტყეებში კვნესა-ტირილი გაისმის კვალად! წამოდი, მარიამ, ცხენებს მოვასხდეთ!—იქ, კლდეებს იქით, შუბები ალმოცენდებიან!

დედოფალი. დიახ, მხოლოდ სისხლსა და ცრემლებზედ! არა, არა, კმარა რაც იყო.

ბოტველი (შეშინებული უკან დაიწევს). როგორ, წასვლაზედ უარს ამბობთ, არა გსურთ იბრძოლოთ? მოღალატეებს უნდა ქვეყანა, შვილი და თავი დაუთმოთ?

გამოსვლა IV.

იგინივე. ერთი აზნაურთაგანი.

ერთი აზნაურთაგანი. გრაფის ბოტველის გამოსაწვევად ლორდებმა პარლამენტერი გამოგზავნეს.

ბოტველი. ოჰო! კარგია, ხმალში უნდა გამეჯიბრნენ? მოიყვათ ყველა, თითო-თითოთ, ვიდრე უკანასკნელამდე! (აზნაური გადის) ეს-კი მიყვარს! წინაპრებს გავიხსენებ!.. ცხენს მოვაჯდები, ავისხამ ტანზედ აბჯარს რკინისას, მარჯვნივ და მარცხნივ შევმუსრავ ლალატს, სიცრუეს მტრისას! მიწას გავუსწორებ ყველას, ვინც-კი ბრალდებას წამოაყენებს; ღვთის რისხვას მოიწევ, შუბზედ ავაგებ და ერთის დაკვრით მთლად ლეშათ ვაქცევ! თქვენ-კი ყველა ამას მაღლობიდგან ადევნეთ თვალი!

დედოფალი (ზიზღით). არა მსურს, არა!

ბოტველი. მოთმინებას ნუ შემირყევთ! ნუ დაივიწყებთ, რომ მთელს შოტლანდიაში მხოლოდ მე ერთადერთს არ მომბეზრებია ჯერ კიდევ თქვენის შერყეული ტახტისათვის ბრძოლა!

დედოფალი. (წამოდგება). ძლიერებასა და სილამაზეს, მართალია, ჰქონდათ ხოლმე ჩემზედ გავლენა, მაგრამ გულ-ქვაობა-ძალადობასა და თავხედობას კი არასოდეს! (პაუზა).

ბოტველი. მაპატიეთ, თუ რომ მეომრის მოუთმენელობამ წამძლია, მაგრამ თქვენ ხომ მოქმედება არ შეგიძლიანთ. წამომყევით! მოღალატეთა ვაჟკაცობა და გაბედულობა თქვენ უნდა შეარყიოთ: ყველგან, სადაც-კი მიხვალთ, დარღვეულს ფიცსა და სამშობლოსადმი შეღა-

---

*) იხ. „ივერია“ № 38.

ბიბლიოთეკა

თაგან ათ-ათი კაცი. სხდომაზედ გამოსთქვეს, სასურველია პანაშვიდსა და სახალხო დღესასწაულს დაესწრნენ ქალაქის გამგეობა, ქალაქის საბჭოს წევრნი, ხელოსანთა, ვაჭართა და მოქალაქეთა მამასახლისები და სხვა წარმომადგენელნიო. კომისიამ მიიღო ეს მოხსენება და გადასწყვიტა აცნობოს ეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს.

⁂ ქალაქის გამგეობის სადგომში დღეს, 5 ივლისს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: არჩევანი ორის უმცროსის მასწავლებლისა; ასათიანის განცხადება მისდამი რწმუნებულ სკოლის გადიდების შესახებ; ქ-ნ გაბაშვილის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სუბსიდია დაენიშნოს ქალაქის კერძო საპროფესიონალო სახელოსნოს და სხვ.

⁂ ხვალ, 6 ივლისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის“ წევრთა კრება, რომელსაც 5—6 საქმე აქვს განსახილველი.

⁂ ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრის ფოიეში დღეს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრების გაგრძელება.

⁂ როგორც საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგან აღმოჩნდა, სტუდენტები ძალიან ნაკლებ ეტანებიან თურმე უნივერსიტეტების საფილოლოგიო ფაკულტეტებს, თუმცა ამ ფაკულტეტებზედ სტიპენდია ძალიან ბევრია, ამის გამო ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამ ფაკულტეტზედ ყურის-მგდებლად შესვლის ნება მისცენ იმ ქალებს, რომელნიც კარგად გაათავებენ საშუალო სასწავლებელს და დამატებით ეგზამენს დაიჭერენ.

⁂ „Кавказскій Вѣстникъ“-ის რედაქციაში გუშინ-წინ, 3 ივლისს, მომხდარს კრებაზედ „ბეჭდვითი საქმის კავკასიელ მოღვაწეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტი სრულიად იქმნა შემუშავებული. როგორც ვწერდით, უკვე შემუშავებული წესდების პროექტი მალე რედაქციებს დაეგზავნებათ განსახილველად.

⁂ საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, მომავალში შემდეგი წესი იქმნება მიღებული სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში: იმ სკოლებში, რომელნიც ქალაქებშია დაარსებული, პირველ წლიდგანვე სწავლა რუსულს ენაზედ დაიწყობა. სოფლის იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ ქართველები არიან, სამ პირველ წელიწადს საგნებს ქართულს ენაზედ ასწავლიან, ამასთან დააწყებინებენ რუსულს და ასწავლიან ამ ენაზედ ლოცვებს. სოფლის იმ სკოლებში-კი, სადაც ქართველებთან სხვა ტომის შვილებიც (ოსები, ბერძნები, რუსები, თათრები და სხვანი) იქმნებიან, სწავლა პირდაპირ რუსულს ენაზედ დაიწყობა ეგრედ წოდებულ „მუნჯურის მეთოდის“ შემწეობით. ეს წესი შემოღებულ იქმნა საეპარქიო მეთვალყურის მ. ვოსტორგოვის მეცადინეობით.

⁂ გორის მაზრის სოფელ ავლევში ახლად დაარსებულ კერძო ქსენონისათვის გადადებულ იქმნა საერობო თანხიდგან 600 მან., ხოლო სიღნაღის მაზრის სოფელ ველისციხის ქსენონისათვის—400 მან.

⁂ საერო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: ზაქათალის უმცროს სახელოსნო სასწავლებელში თავისუფალ ვაკანსიაზედ, რომელიც ამიერ-კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილთ გადარჩება, მიღებულ იქმნენ მხოლოდ ამიერ-კავკასიაში მოსამსახურე რუსთა შვილები. ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის მიერ.

⁂ კვირას, 1 ივლისს, დასრულდა საქართველოს ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთა საპედაგოგიო კურსები.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელნი შეჰკვრიან პირობით დ. ნ. ბაქრაძეს, ბერლინელ კაპიტალისტთა წარმომადგენელს, და აურჩევიათ კომისია ამ პირობის ასასრულებლად. კომისიის წევრები არიან: თავ. პ. თუმანიშვილი, გ. ზდანოვიჩი, ს. წერეთელი, დ. ბაქრაძე, ფ. კიკნაძე, ს. გაჩეჩილაძე, ალ. კრინიცკი, თავ. შ. დადიანი, თავ. ი. ნიჟარაძე, ს. ქვარიანი და თავ. პ. აბაშიძე. ხოლო ბერლინში წასასვლელად და იქაურ სინდიკატთან მოსალაპარაკებლად, როგორც მკითხველებმა უწყიან, არჩეულია გ. ზდანოვიჩი და ს. წერეთელი.

⁂ 27 ივნისს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი სანდრიგაილო.

⁂ თელავის ქალაქის გამგეობას ნება დაერთო ქალაქის საყასბოში დაკლულ საქონელზედ გადასახადის გაწერისა: სხვილ საქონელზედ—50 კაპ., ღორსა და ხბოზედ—20 კაპ., წვრილ საქონელზედ—10 კაპ., ბატკანსა, თიკანსა და გოჭზედ—5 კაპ.

⁂ ტფილისელ დალაქთა ამქრის გამგეობას განუხილავს დალაქების თანაშემწეთა განცხადება, რომელნიც თხოულობენ, რომ ზაფხულში მაინც აპრილიდგან სექტემბრამდის კვირა დღეებში სადალაქოებში მუშაობა ნაშუადღევის 2 საათზედ გაათავონ ხოლმე. ამქართა გამგეობა წინააღმდეგია ამ განცხადებისა და ეს საქმე ქალაქის გამგეობას გადაეცა განსახილველად.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ.

—

მომავალ გამოფენის საქალაქო განყოფილების გამგეთ გადაუწყვეტიათ წარადგინონ გამოფენაზედ სხვა-და-სხვა ქვებისა და ტყვიბულის ქვა-ნახშირის ნიმუშები.

—

ბაქოს ქალაქის საყასბოს გამგეს, ბეითალს მ. ფ. რიხლოვსკის შეუდგენია კავკასიის სამეურნეო გამოფენაზედ წარსადგენად წიგნაკი: „ბაქოს ქალაქის საყასბოები“.

—

დღეს, 5 ივლისს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში პრესსის წარმომადგენელთა კრება მოხდება მომავალ გამოფენაზედ სასტამბო საქმეთა განყოფილების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

—

რუსეთის წესიერ ნადირობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გამოფენის სანადირო განყოფილების გამგედ დანიშნა ტფილისის მცხოვრები ბ-ნი ნიკოლოზ ი. მარქაროვი, ხოლო მის მოადგილედ თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი; ვისაც აქვს სურვილი ამ განყოფილებაში მონაწილეობის მიღებისა, ამათ უნდა მიჰმართონ.

რუსეთი

—

სამოქალაქო სამსახურის ახალ წესდების ძალით სახელმწიფო სამსახურში მყოფთ აღეკრძალათ სავაჭრო-სამრეწველო საქმეების დაწყობა და ამ საქმეებში მონაწილეობის მიღება. ასე, მაგალითად, პირველ სამის კლასის მოხელეებს, სამინისტროების დეპარტამენტთა და კანცელარიათა დირექტორებს, სენატის ობერ-პროკურორებსა და იმათ ამხანაგებს, გუბერნატორებს, ქალაქის უფროსებს (გრადო-ნაჩალნიკებს), სამოსამართლო დაწესებულებათა თავმჯდომარეებსა და წევრებს აღეკრძალებათ მონაწილეობის მიღება რკინის გზის, სანავოსნო, დამზღვევ და სხვა სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობათა დაარსებაში. შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ ამხანაგობათა და საზოგადოებათა დაარსებაში, რომელთაც აზრად ექმნებათ თვით იმათ ადგილებში დაიმუშავონ მიწა ან მადნები; არ შეუძლიანთ აგრეთვე რამე თანამდებობა დაიჭირონ ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგობებსა და საზოგადოებებში.

— როგორც „კანონდ. კრებულშია“ გამოქვეყნებული, წელს მთელ რუსეთში ჯარის-კაცად გაყვანილი იქმნება 308,000 კაცი.

— იმავე კრებულში გამოქვეყნებულია ბრძანება საპატიმროების დებულებათა შეცვლის შესახებ. წეს-რიგის დარღვევისათვის, ახალის დებულებით, პატიმარნი დაისჯებიან: საყვედური გამოეცხადებათ ან ცალკე ან სხვა პატიმართა თანდასწრებით, აღეკრძალებათ ერთის თვის განმავლობაში სასულიერო შინაარსის გარდა სხვა წიგნების კითხვა; ერთის თვით ან ნაკლებ ვადით აღეკრძალებათ მიწერ-მოწერა; ერთის თვის ან ნაკლებ ვადით აღეკრძალებათ თავიანთის ხარჯით სურსათის ყიდვა; სამის თვით ან ნაკლებ ვადით ყოველ დღიური კერძი შეუმცირდებათ, შეიძლება მიეცეთ მხოლოდ პური და წყალი; ერთის კვირით კარცერში იქმნებიან დაპატიმრებულნი; იმ ტუსაღს, რომელიც კარცერშიაც უწესოდ მოიქცევა, „დასამშვიდებელ პერანგს“ ჩააცმევენ და სხვანი.

— ზოგიერთმა ადგილობრივმა საქარხნო საქმეთა საკრებულოებმა ლაპარაკი აღძრეს მთავარ საკრებულოს წინაშე იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა დაუბრუნდეს ხოლმე ბაშფორთები იმ მუშებს, რომელნიც ნება-ყოფლობით ანებებენ მუშაობას თავს სამრეწველო დაწესებულებებში. მთავარმა საკრებულომ შემდეგი განმარტა: როდესაც მუშა თავს მიანებებს მუშაობას, გამგე სამრეწველო დაწესებულებისა ვალდებულია, მუშის მოთხოვნილებისამებრ, მაშინვე დაუბრუნოს ბაშფორთი. თუ „მუშამ თავის ნებით გაანება თავი მუშაობას, ე. ი. უკანონოდ მოიქცა,“ გამგეს უფლება აქვს ექვსის თვის განმავლობაში მიჰმართოს საქარხნო ინსპექტორს და სთხოვოს, საჩივარი იქმნას აღძრული მუშის წინააღმდეგ. თუ მუშა საპატიო მიზეზებისა გამო სამუშაოდ არ მივიდა და თუ არ განაცხადა სამის დღის განმავლობაში, რომ მუშაობას თავს ვანებებო, სამრეწველო დაწესებულების გამგემ, თუ არ უნდა ხელ-შეკრულება დაარღვიოს, უნდა ბაშფორთი შეინახოს ხელ-შეკრულების ვადის გასვლამ-

---

ხულს მოვალეობას მოაგონებთ ხალხს. მაშ, აგრე! თქვენ მაღლობიდგან ადევნებთ თვალსა, მტერს როგორ ვებრძვი!

დედოფალი. არა!

ბოტველი. რას ნიშნავს ესა? შიში გაქვთ და თქვენის საქმისა აღარა გჯერათ-რა, თუ ჩემი ნდობა აღარა გსურთ? გახსოვდეთ, რომ ყველას თავისის საქციელის მიხედვით განსჯიან ხოლმე: საკმარისია, ადამიანი ბრალდებას არ შეუშინდეს, პირდაპირ შეეგებოს და იმ წამსვე იტყვიან: „მართალიაო!“ წავიდეთ მაშ!

გამოსვლა V.

იგინივე. შიკრიკი.

შიკრიკი (ქაქანით). გრაფო, ლორდებს შებრძოლება სრულიადაც არა სდომებიათ! ამითი მხოლოდ მოგვატყუეს და გარს შემოგვერტყნენ!

ბოტველი. ბოლომდის მოღალატენი! (შიკრიკს). წადი, ეხლავე მოვალთ. (შიკრიკი გავა) ახლა-კი, როგორცა სჩანს, მეტი გზა აღარა გაქვთ, უნდა გამომყვეთ და ჩემთან ერთად ხანგრძლივადა და მედგრად იბრძოლოთ! გაფიცებთ ყველას, რაც-კი დედამიწაზედ თქვენთვის ძვირფასია... რომ თუ ეხლა ტყვეთ ჩაუვარდებით ერთს საათსაც ვეღარ იუფლებთ შოტლანდიაში!

დედოფალი. და აღარც შემიძლიან ამ ქვეყნის მმართვა.

ბოტველი. მერე, თქვენი შვილი?

დედოფალი. აგრეთვე მასაც. ამ მცირე ხნის განმავლობაში დავრწმუნდი სრულად, რომ ლორდების ხელშიაც ისევე უშიშრად იქმნება იგი, როგორც თქვენს ხელში?

ბოტველი. მაშ აგრე! მღალატობთ მისთვის, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენს ერთგულობაში გავატარე, თქვენთვის ვიბრძოდი?

დედოფალი. ჯილდო ხომ თვითონვე მიიწყევით დღეს.

ბოტველი. დეე, თუნდ ჩემი საბუთები უსაფუძვლო და სუსტი იყოს... მაგრამ თვით თქვენივე საკუთარი გრძნობა თვით-მფარველობისა რაღას გეუბნებათ?! გამიგონეთ, თქვენი გვირგვინი ამ ხელთ არის, მაშ ენდეთ მასა! იქ, მთებში, გამილტონსა, სეიტონსა და სხვა ერთგულს კათოლიკებსა ვპოვებთ; იქიდგან შემდეგ მტერს მივესევით და მოღალატეთ ვძლევთ,—იცოდეთ, ბოტველს ჯერ ბრძოლა არ წაუგია! მთელს თქვენს სიცოცხლეში ყოვლისფერს ნახევრად აკეთებდით, ახლა მაინც სავსებით გადასწყვიტეთ!

დედოფალი. ო, დიახ, ბევრი კეთილი საქმე მივიყვანე ნახევრობამდის,—მაშ მოდით, ახლაც ნახევარ ცოდვის გზაზედ გავჩერდები!

ბოტველი. ქვეყნად მე მხოლოდ ერთი რამ მიმაჩნია მიუტევებელ ცოდვათ—ეს არის საქმის წაგება! მოგებული და გამარჯვებული მუდამ მართალია: ხალხს კანონებს გამარჯვებული უწერს. მაგრამ უთქვენოდ მე მართლის სახელს ვერ მოვიპოვებ, ჯარებს ვერ შევკრებ. მიყავით წყალობა, თუნდაც ერთი საათით თქვენის თეთრი ცხენით ჯარებს ეჩვენეთ და დანარჩენი მე მომანდევით!

დედოფალი. გვიან-ღაა, თქვენი აღარა მჯერა-რა!

ბოტველი. წყეულო ჯიუტობავ, შურის ძიების წყურვილო, თვით-მოყვარეობის სისუსტევ, თუ რა ხარ, არ ვიცი—ცუდათა სცელქობ! მაგრამ ამ ჯიუტობის დროსაც-კი, შენ მიუწთომელო ამიცანავ, მშვენიერი ხარ! არა, ძალით წაგიყვან,—მოვალე ხარ იხსნა შენი თავიცა და მეც!

დედოფალი. მაშ სცადე, აბა!

ბოტველი. არა, ჯერ კიდევ ძლიერი არის, აგრე მალე არ დამმორჩილდება!.. ეზოში კიდევაც შემოვიდნენ! დროა, ავჩქარდეთ... ოჰ, მარიამ, უკანასკნელად და მოელვარებს ეგ შენი სიცოცხლის ვარსკვლავი!.. ჯერ კიდევ გვიან არ არის და ზურგის ქარიც მზად არის გაგვიტაცოს... მომეცი ხელი და ბედის ქარიშხალს გამოვეკიდნეთ! (დედოფალი ჩუმად თავს აქნევს). ხმაურობა თან-და-თან ახლოდგან ისმის... მაშ მარტოდ მაინც ვეცდები! განა ვინც დალუპულ გემიდგან ზღვაში ვარდება, ყველა იხრჩობა. მაგრამ დადგება დღე და ინანებ, რომ ძლიერს მცურავს ხელი უშვი; შენი საპყრობილედგან თვალს გააყოლებ ჰაერში ფრინველს და ფიქრით მუდამ ჩემთან იქმნები, თვითოეულს ფეხის ხმას, მაღალ პალატთა შორის განაგონს, ოდნავს შრიალს ძრწოლითა და შიშით ყურს დაუგდებ,—ბოტველის ამბავი, ამბავი სიცოცხლისა და შურისძიებისა ხომ არ მოაქვსო! და ამბავი-კი არსად იქმნება! ასე უნდა იჯდე, სანამ არ დაბერდები და ელოდდე... ელოდდე... დასწყევლე მაშინ ბოტველი, რომ იგი შენის ღალატისა გამო თვითონ შურისძიებათ გადიქცა! (ქვეიდგან ძახილი ისმის: „ბოტველ“!). მოვდივარ!.. ამაყო გედო, აგრე დიდებითა და უფლებით გარემოცულს ამას იქით ვეღარ გიხილავ! შენის მომხიბლავის სიმღერით აგერ უბსკრულამდის მიმიყვანე! და ვინ იცის კიდევ რამდენს უგუნურს დაჰღუპავს ეგ შენი ბედითი სილამაზე?! მოგკლა, რომ ჩემს მეტს სხვას არავის დაჰრჩე? (ქვევიდგან თან-და-თან ხმა-მაღლა ისმის ძახილი: „ბოტველ!“). მოვდივარ, მოვალ! ეგ არის, ვეღარსად გნახავ! ოჰ! (დაეცემა, მოეხვევა და ჩურჩულით ეუბნება). რა იქნება, რომ ეხლა ორივე ერთად დავიხოცნეთ?!. მაშინ ხომ ვეღარ გაგვყრიან!.. მაგრამ არა! (ხელს გაუშვებს). სიცოცხლე თავისუფლება და მასთან იმედი ყველაფერია! (მიდის).

გამოსვლა VI.

დედოფალი (მარტოდ). სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე. ვადის გასვლისას-კი ბაშფორთი ან უნდა პირდაპირ მუშას გადასცეს ან პოლიციის ხელით გაუგზავნოს.

— 28 ივნისს, მოსკოვში, დმიტროვსკის ეპისკოპოსად ხელდასმულ იქმნა არხიმანდრიტი ტრიფონი (თავ. თურქესტანიშვილი).

— უმაღლესს სამხედრო საბჭოს დაუდგენია: თურქესტანის სამხედრო ოლქის ადგილებში: კერქსა, ტერმეზსა, მერვასა და კუშკში მოსამსახურე ოფიცრები 5 წლის სამსახურის შემდეგ გადაყვანილ იქმნენ სახაზინო ხარჯით ევროპის რუსეთში იმავე თანამდებობაზედ.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ გადაათვალიერა ის კანონები, რომლებიც სამოქალაქო სამსახურს შეეხება. სხვათა შორის, მთავრობამ საპენსიო წესდების შეცვლაც განიზრახა. დღევანდელი პენსიები დაწესებულ იქმნა ამ 70 წლის წინად, 1827 წელს, როდესაც მოხელეებს ჯამაგირიც მცირე ჰქონდათ და პენსიებიც მცირე დაენიშნათ. რადგანაც დღეს ცხოვრება გაძვირდა, აზრადა აქვთ პენსიები მოუმატონ.

— როგორც „ვარშ. დღიური“ გადმოგვცემს, ვარშავის უნივერსიტეტის საფილოლოგო და სამათემატიკო ფაკულტეტზედ შემსვლელმა სემენარიელებმა გამოსაცდელი ეგზამენები 24 აგვისტოს უნდა დაიჭირონ.

— გაზეთები ერთ შემდეგ შემთხვევას კიდევ გადმოგვცემენ, რომელიც ნათლად ჰმოწმობს ეგზამენების მავნებლობასა და სასწავლებლის უფროსთა გულქვაობას. ეგზამენების დროს ავად გამხდარა ვორონეჟის სემინარიის ერთი მოსწავლე. მთავრობას არაფრის გულისთვის არ უნდოდა ამ მოსწავლის განთავისუფლება და უეგზამენოდ გადაყვანა, თუმცა წლიური ნიშნები 10 საგანში ხუთ-ხუთი ჰყვანდა, ერთში—4 და ერთშიაც $3^5/_8$. ეგზამენების წინად მოსწავლე ნევრასტენიით გახდა ავად. ორ მკურნალს გაუსინჯია და უთქვამს, რომ თუ ეგზამენებისაგან არ განთავისუფლდა ბავშვი, გაგიჟდება. მთავრობამ არც ამ მკურნალების სიტყვას მიაქცია ყურადღება და ბავშვს ეგზამენი დააჭერინა; ავადმყოფმა, რასაკვირველია, ხეირიანად ვერ დაიჭირა ეგზამენი, ჩაიჭრა და შემდეგ ლოგინადაც ჩავარდა.

— როგორც „Орл. В.“ გადმოგვცემს ბრიანის მაზრის ერთ სოფელში შემდეგი დრამა მომხდარა: „69 წლის მოხუცმა, ეჭვით შეპყრობილმა, მოჰკლა თავისს 67 წლის ცოლის 87 წლის საყვარელი. ქმარი დიდი ხანია ეჭვში იყო. იმ საღამოს, რა საღამოსაც მკვლელობა მოხდა, მოხუცმა ერთად მოატანა ცოლსა და იმის სატრფოს და დიდის კეტით მოჰკლა იგი“.

— 15 ივლისს შესრულდება 60 წელი რუსეთის შესანიშნავის პოეტის მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალებიდგან. როგორც მოგეხსენებათ, ლერმონტოვი პატიგორსკში ხმალში გაიწვია მარტინოვმა და მოჰკლა მაშუკის მთაზედ 1841 წლის 15 ივლისს. ამ ჟამად პატიგორსკში შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამა, თუ რა წეს-რიგით სცენ პატივი პოეტის ხსენებას. აზრადა აქვთ, სხვათა შორის, მაშუკის მთაზედ ძეგლი აუგონ ლერმონტოვს.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ინგლისის საზოგადოებათა პალატაში სესხის განხილვის დროს ხაზინის კანცლერმა ბ-ნმა გიქს-ბიჩმა შემდეგი განაცხადა:

„ყველა მხრიდგან გვეკითხებიან, ომის ადრე და მალე გათავებას როდის ვეღირსებითო, მაგრამ ამის ნიშნებს ჩვენ ჯერ ვერსად ვხედავთ. როგორც კიტჩენერის დეპეშებიდგანა სჩანს, ბურების სარდლებს გამოუქვეყნებიათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ომს არას გზით არ შესწყვეტენ და გარდაწყვეტილი აქვთ სამშობლო ქვეყნის მთა და ველი უკანასკნელის ბურის სისხლით მორწყონ (ირლანდიელთა სკამებიდგან მოწონება და ტაშის ხმა ისმის). მაგრამ შესაძლებელია, განა, ინგლისმა ბურებს სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს (ისევ ტაშის ხმა ისმის)? მართალია, სამხედრო გარდასახადების უმეტესი ნაწილი ტრანსვაალსა და ორანჟის რესპუბლიკას დაედება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ომი გათავდება და მშვიდობიანობა ჩამოვარდება. მერეც, ვიცით ხარჯის დასაფარავად მადნებს გარდასახადები მოუმატება, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრობა ფრთხილად უნდა მოიქცეს, რომ საქმეს ხელი არ შეუშალოს, სამადნო წარმოება არ დააბრკოლოს“.

ლოიდ ჯორჯმაც საშინლად გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკაში და დაუსახელა ის უბედურებანი, რომელიც შეიძლება ამას შედეგათ მოჰყვეს.

ბროდრიკმა თავის მხრივ სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ირლანდიელნი ხშირად აწყვეტინებდნენ და შენიშნა, ვითომ ლოიდ ჯორჯისა და სხვათა სიტყვა უზრდელობით აღსავსე ყოფილიყოს და ომს მხოლოდ განგებ ხელს უწყობდნენ ამითი.

ორატორმა განაცხადა, რომ გენერალმა ბოტამ კიტჩენერისაგან ნება-რთვა მიიღო კრიუგერისათვის ნიშანდებული დეპეშა გაეგზავნა და მიიღო თუ არა პასუხი, მაშინვე შალკ-ბურგერისა და შტეინის მიერ ხელ-მოწერილი ნოტა იქმნა გამოქვეყნებული, რომელშიაც ნათქვამია:

„პრეზიდენტიც და მასთან დეპუტაციაც, რომელიც ამ ჟამად ევროპაში გვყავს გაგზავნილი, დიდად იმედოვნებენ, რომ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბოლოს მაინც ჩვენდა სასარგებლოდ და სახეიროდ იქმნება დაგვირგვინებული; მაშასადამე, საჭირო ბრძოლა არ შევწყვიტოთ, განვაგრძოთ. გარდა ამისა, როგორც პრეზიდენტი გვწერს, იგი დეპუტაციის წევრებთან ერთად ყოველსავე ღონისძიებას იხმარს, რომ ტყვე ბავშვებისა და დედაკაცების დღევანდელი მდგომარეობა შემსუბუქებული იქმნას როგორმე“.

თან დასძენს ბროდრიკი, რომ კრებაზედ, რომელსაც ბოტა, დევეტი და დელარეი დაესწრებიან, გარდაუწყვეტიათ, არაფრის გულისათვის ინგლისელებს არ შეურიგდნენ, თუ რომ დამოუკიდებლობას არ მიანიჭებენ. ამ სამის თვის განმავლობაში ომის საქმე იქამდის წინ წაიწია, რომ დიდი შეცდომა იქმნებოდა, ოპოზიციის სურვილსა და რჩევას დავყოლოდით და ბურებს შევრიგებოდით, მეტადრე მაშინ, როდესაც ბურები პირდაპირ აცხადებენ თქვენის პირობებით შერიგება არ გვინდაო.

— ასე წინააღმდეგნი არიან მთავრობის წარმომადგენელნი და მათნი მომხრენი, მაგრამ მაინც ბურების სასარგებლოდ ამ ჟამად ძალიან ბევრი ლაპარაკობს და მათ შორის მთავრობისაგანნიც. რაც შეეხება დანარჩენს საზოგადოებას, ამათი რიცხვი ხომ დღითიდღე მატულობს და იზრდება. როგორც ბოლონდელი გაზეთები იუწყებიან, პროტესტანტობის აღმსარებელ პასტორებს კრება დაუნიშნავთ ლონდონში, რომელზედაც შემდეგი პირობები თურმე უნდა შეიმუშაონ შესარიგებლად: 1) ბურებს მთელი იარაღი უნდა დაუბრუნდეთ; 2) საყოველთაო ამნისტია მიენიჭოთ (თავისუფლება) როგორც ბურებს, ისრე კაპის ახალშენის ყველა მეამბოხეთ; 3) სამხრეთ აფრიკაში ავსტრალიისა და კანადის ფედერაციის მგზავსი მმართველ-გამგეობა იქმნეს შემოღებული; 4) თვითოეულს საფედერაციო სახელმწიფოს ცალკე სრული ავტონომია (თვითმმართველობა) მიენიჭოს ყოველისფერში, რაც-კი დიპლომატიურ დამოკიდებულებასა და სამხედრო ორგანიზაციის საქმეს არ შეეხება; ყოველსავე ამ გვარს კითხვას საფედერაციო პარლამენტი გარდასწყვეტს; 5) ყველა მოქალაქეს ერთგვარი უფლებები მიენიჭოს.

გერმანია. როგორც „Journal“ იუწყება, ელზასელებსა და გერმანელებს შორის მტრობა ჯერ კიდევ ძლიერად ყოფილა ფესვგადგმული. აი, ამისი მაგალითიც: გერმანიის მთავარი შტაბის სამხედრო კორპუსის ოფიცრები ამ წინაზედ სამეცნიერო აზრით ზემო ელზასში წასულან საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვრის პირად. ოფიცრები ერთი ადგილიდგან მეორეზედ ფეხით თურმე გადადიოდნენ, ხოლო ბარგი ცხენებით მიჰქონდათ და ზრუნვა ბარგის გადაზიდვისა სოფლის მოურავს ჰქონდა მუდამ მინდობილი: ის შოულობდა ურემს, ცხენებს, კაცსა და სხ. მაგრამ სოფლის მოურავები ანუ მამასახლისები მუდამ უგულოდ თურმე ასრულებდნენ ამ თავისს მოვალეობასა. ასე თურმე მოუხდათ, მაგალითად, სოფ. პ—ში. ოფიცრებს დილით დაბარებული ცხენები არ მიუყვანეს. გაჯავრებულმა ოფიცრებმა მაშინვე მოურავი თურმე დაიბარეს და ლანძღვით შეეგებნენ, მაგრამ ასე უზრდელად მოპყრობას არ ჩვეულმა მოურავმაც არ დაუთმო და უკმეხად თურმე უპასუხა: „ბ-ნო ოფიცერო, მე ყოველივე საჭირო განკარგულება მოვახდინე, რომ ცხენები მზადა ყოფილიყვნენ, მაგრამ კანდუქტორი ავად გამხდარა, გლეხები კიდევ მინდვრათ არიან წასულნი სამუშაოდაო. მაგრამ თქვენ და თქვენს ბარგს რომ რეინს გაღმა გაბრძანება და გაბარგება გჭიროდეთ, ამას-კი ყოვლად უსასყიდლოთ ვკისრებდი და თუნდაც მთელის ამ არე-მარეს ეტლებსა და ცხენებს მოგირეკდითო“.

სტრასბურგის შტატგალტერმა (უფროსმა) მოურავი სამსახურიდგან დაითხოვა, ხოლო მიულგაუზენის სასამართლომ კიდევ 20 დღით დაპატიმრება გარდაუწყვიტა იმის გამო, რომ „გერმანიის მხედრობა გალანძღა და შეურაცხჰყოო“.

ამ გვარისა და უარესის შემთხვევების შემდეგ ნემეცური გაზეთები კიდევ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ „ელზასი გაგერმანელებულია“—თხა და მგელი (ფრანგი და გერმანელი) მეგობრულად ერთად სძოვენ.

დამაკვირდი

რაც უფრო დიდი კულტურაა, მით უფრო დიდად ჰფასობს იქ გარჯა და შრომა.

***

თუ გინდა ბედნიერი იყო, საქმე რამ აკეთე.

პალეი

***

შრომა ადამიანს ფულს აშოვნინებს და დროს არ აძლევს იგი დახარჯოს.

დეკურსელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ალიასკა ქალთა ნამდვილი „სამეფო“ ყოფილა. სამეფო იმიტომ-კი არა, რომ იქ

რომ მთის არწივია! ეჭვი არ არის, დაიღუპება! ახლა-კი დროა გამოგეთხოვო, შოტლანდიავ! აღარც ერთი მეგობარი არა მყავს აქა, აღარც ერთი იმედი აღარ მიჩანს... (ძირიდგან ბოტველის ხმა ისმის: „წამოდი, მარიამ!“) აგერ იმისი ხმაც! მესმის, მოდიან... უნდათ გვირგვინი წამართვან, მაგრამ არ დავანებებ! დეე, როგორც უნდოდეთ, დამტანჯონ, ძალით წამართვან! ცოდვა იმათი იქნება... აი, თურმე რა ბოლო მომელოდა! ოჰ, ჩემო თავისუფლებავ, ნორჩო გვირგვინო, ძაან ადრე გამოგეთხოვეთ! მე-კი ჯერ კიდევ ამოდენა ძალა მაქვს. შემოვიკრებ მაშ მთელს ჩემს ძალასა და მტერს თამამად დავუხვდები. მართალია, შეუძლიანთ ყოველისფერი წამართვან, მაგრამ დამორჩილება-კი ჩემი არ შეუძლიანთ. მოვა დრო და გაიგებენ, რომ:

თუ რომ ბედსა მან ვერ მოუარა,
უბედობა ხომ ღირსეულად გადაიტანა!..

(ჰსურს წავიდეს, მაგრამ როგორც-კი ორიოდე ნაბიჯს გადასდგამს, კარები გაიღება, შემოვლენ დარაჯნი, ორ წყობათ დადგებიან და შემოსულთ შუაში გამოატარებენ).

გამოსვლა VII.

მორტონი, ლინდსეი და ორი აზნაური. დედოფალი.

ლინდსეი. თქვენო უდიდებულესობავ! ლორდთა კავშირის სახელით გიახელით, რომ...

დედოფალი. მობრძანდით, კეთილშობილნო ლორდნო! მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენის დედოფლის მოსაშველებლათ გამოეშურებოდით. ღირსეული ლინდსეი, ერთგული მორტონი, სხვები სად-ღა არიან, ჩემი ძმა მურრეი, პატიოსანი ლეტინგტონი?

ლინდსეი. უკან მოდიან, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფალი. ნუ-თუ ამ ხალხში შოტლანდიის დედოფალი თავს მშვიდობიანად არ უნდა ჰგრძნობდეს!

მორტონი. ჩვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ბრძანება გვაქვს...

დედოფალი. რომ მემსახურნეთ! თვით ღმერთმა გიბრძანათ ეგ; თქვენს სათავად-აზნაურო მახვილზედ ამოჭრილია: „ღვთისა, მეფისა და მამულისათვისო“.

ლინდსეი. თუ რომ ინებებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ნაბრძანები გვაქვს მიგაცილოთ...

დედოფალი. წავიდეთ ერთად, ჩემო ერთგულნო! ჩვენს სამეფო უფლებას დედამიწის ზურგზედ ვერავინ გამოგვწირავს; ღმერთს იგი ჩვენთვის დაბადებიდგანვე მოუნიჭებია. წავიდეთ! პატივი ეცით დედოფალს!

(ოფიცრები ხმლებს ძირს დაუშვებენ, ჯარის-კაცნი შუბებს გადააჯვარედინებენ, დედოფალი შუბებს ქვეშ გაივლის; ამას მიჰყვებიან ლინდსეი, მორტონი, ორი აზნაური და შემდეგ დანარჩენნიც ნელ-ნელა გავლენ. სცენა დაცარიელდება და მცირე პაუზის შემდეგ შემოვლენ).

გამოსვლა VIII.

მურრეი, ამას მოჰყვება ლეტინგტონი, მორტონი და აზნაურები. შემდეგ ლინდსეი.

მურრეი. კეთილშობილნო ლორდნო! მარიამ სტიუარტი თავისს ბედს შოტლანდიის ლორდებს მიანდობს. ეჭვი არ არის, მას არავითარს პატივს არ მოვაკლებთ, რაიცა-კი დედოფალსა და დედაკაცს შეჰფერის.

ყველანი. დიახ!

მურრეი. მაგრამ იცოდეთ ისიც, რომ დღეიდგან მარიამ სტიუარტი სახელმწიფოს აღარ განაგებს.

ყველანი. (უფრო ხმა-მაღლა) დიახ, დიახ, დიახ!

მურრეი. მაშ გაუმარჯოს მისს შვილს, შოტლანდიის მეფეს იაკობ მეექვსეს!

ყველანი. გაუმარჯოს!

მურრეი. მეფისა და იმ მთავრობის სახელით, რომელსაც პარლამენტი დაჰნიშნავს, ვიღებ სამეფო დროშას შოტლანდიისას...

(დროშისაკენ მიდის, ყველანი გზას აძლევენ. უკან მისდევენ ლეტინგტონი და მორტონი და ერთმანერთს გადაჰკურებენ. როგორც-კი მურრეიმ ხელი უნდა შეახოს დროშის ტარს, ამ დროს სცენის ბოლოდგან რამდენიმე ხმა მოისმის: „მოიცა, მოიცა!“).

ლინდსეი (შემოდის და რიხიანად შესძახებს). მოიცა!

გამოსვლა IX.

იგინივე. ნოქსი. ხალხი.

რამდენიმე ხმა. ჯონ ნოქსი მოდის, თან ხალხი მოსდევს!

ლინდსეი. (ჩუმად) ნოქსი ილაპარაკებს.

ნოქსი. ხალხო! შევიტყე, რომ შოტლანდიის ბედი დღეს უნდა გარდასწყდეს და მოვისურვე მეც დავსწრებიყავ.

ხმები ხალხიდგან. ნოქსს გაუმარჯოს!

ნოქსი. ის, რაც დღეს შოტლანდიის ლორდებმა საქმე ჩაიდინეს, სანაქებო და საკეთილოა. მაგრამ არ შეუძლიანთ თავისი სისხლში შერეული ხელი ამ დროშას შეახონ,— იგი არ ეკუთვნის არც მურრეის, არც მორტონს, არც ლეტინგტონსა; იგი ეკუთვნის შოტლანდიასა და შეადგენს ეროვნულს ნიშანს, რომლითაც ქვეყანამ მტერნი და მავნე გარემოებანი უნდა სძლიოს; ზედ გამოსახული ლომი ძალაა ღვთისა!.. ეკკლესიის სახელით ხალხს წავუძღვარებ დროშასა! (მუსიკა მარშს უკრავს. იმ დროს, როდესაც ნოქსს დროშა მიაქვს, ისმის: „ნოქსს გაუმარჯოს!“—სხვანი კიდევ: „შოტლანდიას გაუმარჯოს!“ ხალხი და აზნაურნი ნოქსს გაჰყვებიან. სცენიდგან გასვლის შემდეგ ძახილი და მხიარულობა დიდხანს ისმის. სცენაზედ რჩებიან: მურრეი, მორტონი და ლეტინგტონი).

დასასრული.

ქალების მეტი არავინა სცხოვრობდეს, პირიქით, ქალები მეტად ცოტანი არიან და აი სწორედ ამ გარემოებამ გარდააქცია ალიასკა ქალთა სამეფოდ. როგორც უკანასკნელად შეკრებილ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ყოველ 72 მამაკაცზედ ალიასკაში 28 დედაკაცი მოდის. შეუძლებელია, რომ ალიასკაში ახლად მოსული ქალი 24 საათის განმავლობაში არ გათხოვდეს თურმე. ცოლიანები დიდ გაჭირვებაში არიან, რადგანაც დაჭერილი მოახლე მეორე ან მესამე დღესვე საქმროს მისდევს ეკკლესიაში ჯვრის დასაწერად. მთელს ალიასკაში სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერსად იპოვნით ეგრედ წოდებულ „ხნიერ ქალწულს“. არსად ქალს ისეთი პატივი და ძალა არა აქვს, როგორც ალიასკაში.

* * *

„*Вѣст. Всем. Ист.*“-ში იბეჭდება საყურადღებო მოგონებანი ქ-ნ სოკოლოვისა. მოგვყავს აქ ერთი ამბავი, სოკოლოვის ქალის მიერ გადმოცემული. „1839 წელს იმპერატორს ნიკოლოზ I ალექსანდრეს ძესთან, რომელიც თითქმის ყოველ დღე სასახლის წინ მდინარის ნაპირზედ მდებარე ქუჩაში დასეირნობდა ხოლმე, მივიდა ერთი ესე 12—13 წლის ყმაწვილი, სუფთად, მაგრამ მეტად ღარიბულად ჩაცმული; ყმაწვილს ხელით პატარა შვიდი-რვა წლის ბავშვი (ქალი) მოჰყვანდა. მოუახლოვდნენ რა იმპერატორს, ბავშვმა თამამად და მკაფიოდ ჰკითხა:

— თქვენა ბრძანდებით რუსეთის იმპერატორი?

— მე ვარ!.. მიუგო მეტად განცვიფრებულმა და გაოცებულმა იმპერატორმა.

— მე თქვენთან მოვედი!.. თამამადვე განაგრძო ყმაწვილმა.

იმპერატორმა, მეტად დაინტერესებულმა ბავშვის ასეთის სითამამით, მოისურვა ბავშვის ვინაობისა და იმის გაგება, თუ რა საქმე ჰქონდა.

— მე გრაფი კ. ჰ. ვარო!—ამაყად წარმოსთქვა ბავშვმა.—მამა ჩემი... მოკვდა!.. სიკვდილით დასაჯეს... იგი მდიდარი იყო. ქონება სულ ერთიანად ჩამოგვართვეს!.. დედა ჩემი დარდისაგან მოკვდა... ორნი-ღა დავრჩით, მე და ეს ჩემი და. არ ვიცით, სად წავიდეთ და აი თქვენთან მოვედით.

ხელმწიფეს სახეზედ აშკარად შეეტყო უკმაყოფილება.

გვარი, რომელიც ბავშვმა წარმოსთქვა, პოლონეთის უპირველესი და უწარჩინებულესი გვარი იყო; ამ გვარის წარმომადგენელთ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის აჯანყებაში.

— ვინ გასწავლა ჩემთან მოსვლა?.. გაჯავრებით ჰკითხა იმპერატორმა ბავშვს და თვალები დააშტერა.

მაგრამ ბავშვი არ შეშინდა. იგი ნამდვილი შვილი იყო პოლონეთისა.

— არავის არაფერი უსწავლებია ჩემთვის... მიუგო ბავშვმა.—მე თვით მოვედი თქვენთან და დაც მოვიყვანე... რადგან სხვა გზა არა გვქონდა...

— გამომყევით... უთქვამს იმპერატორს.

ბავშვები ჯერ სასახლეში წაიყვანეს, შემდეგ სასწავლებელში მისცეს: ვაჟი—კადეტთა კორპუსში, ხოლო ქალი—სმოლნის ინსტიტუტში. დიდის ყურადღებით უვლიდა და ჰპატრონობდა შემდეგ ქალს იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული“.

* * *

საყურადღებო საქმის განხილვას შესდგომია ნანსში (საფრანგეთშია) ადგილობრივი სასამართლო. ახალგაზდა ქალი ლეკოანე უჩივის თურმე ეგრედ წოდებულ „კეთილის მწყემსის“ მოლოზნებს. შარშან ბევრი საყურადღებო რამ გამოირკვა ამ მოლოზნების ცხოვრებიდგან; ახალგაზდა ქალებს ამწყვდევენ თურმე და მთელის წლობით ამუშავებენ. ეს ქალიც ასევე ჰყოლიათ დამწყვდეული, მაგრამ რაღაც შემთხვევით გაქცეულა. სასამართლოში გამოირკვა თურმე, რომ მოლოზნებს მთელ საფრანგეთში 47,000 ამგვარი ქალი ჰყოლიათ დამწყვდეული, რომელთაც ამუშავებენ და ამით თავიანთ მონასტრებს ამდიდრებენ. ამ ქალების შრომით მონასტრებს 60 წლის განმავლობაში 120 დიდი და მეტად მდიდარი მამული შეუძენიათ. გამოირკვა კიდევ, რომ ეს მონასტრები ერთ კარდინალს, რომში მცხოვრებს, დიდს პენსიას აძლევენ. ამ კარდინალს დავალებული ჰქონია, სასულიერო მთავრობისთვის ჩაეგონებინა, რომ მონასტრებს არავითარი თვალყურის დევნა არ უნდა. მრავალი საზიზღრობა გამოირკვა კიდევ სასამართლოში. ქალებს აწვალებენ, სტანჯავენ, სცემენ და სხვა. ბევრი ვერ იტანდა თურმე ასეთ ცხოვრებას და თავს იკლავდა.

* * *

ამას წინად სამს ყაჩაღს ამერიკაში რკინის გზის მატარებელი გაუქურდნია. ყაჩაღები გზაში დახვედრიან მატარებელს, თოფებისა და რევოლვერების სროლა დაუწყიათ და გაუჩერებიათ. სროლის დროს ერთი მგზავრი მოუკლავთ და ერთიც მძიმედ დაუჭრიათ. შემდეგ ყაჩაღებს მატარებელში უპოვნიათ რკინის ყუთი, ამოუღიათ იქიდგან 16,000 გირვანქა სტერლინგი (160,000 მანეთამდე) და დამალულან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 ივლისი.

პეტერბურგი. „კანონ-დებულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია ბრძანება: წითელი ჯვრის საზოგადოების მოწყალების დათა და ფერშალ ქალთათვის სახელმწიფო ხაზინიდგან პენსიის დანიშვნის შესახებ; სახელმწიფო კანტროლში საკრედიტო ნაწილის დეპარტამენტის დაარსების შესახებ; ხარკოვის აქციონერთა საადგილ-მამულო ბანკის საქმეთა მოწესრიგების შესახებ; სახელმწიფო ბანკს დაევალა, მისცეს ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკს სავადო ვალდებულებათა გასასტუმრებლად კრედიტი 6 მილიონამდის მან. ხარკოვის ბანკში შენახულ თანხის სარგებლიან ქაღალდების პროცენტებიდგან და სხვა ფულიდგან, რომელსაც ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს, იმ პირობით, რომ ამ კრედიტისათვის ნასესხებ ფულის შესავსებლად გადაიდოს ხარკოვის ბანკის მთელი წმინდა წლიური მოგება, რომელიც დარჩება ყველა ხარჯის და ზარალის დაფარვის შემდეგ.

რეველი. დილის 7 საათზედ გემით „ზარნიცა“-თი მოვიდა ხელმწიფე მემკვიდრე. ზღვაშივე შეეგებნენ ადმირალები: როჟდესტვენსკი, დომოჟიროვი და ვულფი. დილით მისი უმაღლესობა დაესწრო არტილერიის რაზმის სროლას; დილის 11 საათზედ მისს უმაღლესობას წარუდგნენ: ესტლიანდიის გუბერნატორი და მე-23 დივიზიონის უფროსი, შემდეგ მის უმაღლესობასთან საუზმე იქმნა გამართული, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ გუბერნატორი, დივიზიონის უფროსი, გემთა ადმირალები და უფროსები.

ვარშავა. ფინანსთა მინისტრმა ვარშავისა და კიევის პოლიტეხნიკუმებში საკონკურსო ეგზამენებზედ მიუშვა საშუალო ოთხ-კლასიან სატეხნიკო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი ტეხნიკოსის წოდებით.

კიევი. გუბერნატორის თაოსნობით ამ მოკლე ხანში კიევის გუბერნიაში არსდება 700 წიგნთ-საცავი. წიგნთ-საცავების შედგენა მინდობილი აქვს კიევის წერა-კითხვის საზოგადოებას. ხარჯი—9100 მ. გადადებულ იქმნა გუბერნიის სიფხიზლის საზოგადოების თანხიდგან.

ბლუმფონტეინი. 27 ივლისს სამხრეთ-აფრიკის საპოლიციო ჯარების რაზმს ბლუმფონტეინის სამხრეთით გარს შემოერტყა მტერი. ასტყდა საშინელი ბრძოლა, ორივე მხარეს მოუკლეს რამდენიმე კაცი. მხოლოდ გონიერის მოძრაობით დააღწიეს თავი ინგლისელებმა საძნელო მდგომარეობას.

კონსტანტინეპოლი. ხიოსის კუნძულის დედა ქალაქ ხიოსში ორი კაცი გახდა ავად შავი ჭირის საეჭვო ნიშნებით, რომელთაგან ერთი მოკვდა.

პარიჟი. როდესაც საზოგადო მუშაობათა მინისტრი ბოდენი დღეს დილით ელისეის სასახლეში მიდიოდა მინისტრთა საბჭოს სხდომაზედ, „Avenue Marigni“-ს კუთხეში რევოლვერი ესროლა მას დედაკაცმა, რომელსაც ბავშვი ეჭირა ხელში, მაგრამ ტყვია არ მოხვდა მინისტრს, დედაკაცი დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ მეგონა ეტლში დელკასე იჯდა და იმიტომ ვესროლეო. ჩემი გვარი ოლშევსკაია, ვცხოვრობ ნანტერში ქმარითურთ, რომელიც პოლონელთა შთამომავლობისაა; გარეშე საქმეთა სამინისტროს კაი ხანია მისი ფულები მართებსო. ჰფიქრობენ, ოლშევსკიმ იმიტომ ესროლა ტყვია, რომ ყურადღება მიექციათ მისთვის. ოლშევსკის არა ერთხელ მიუღია ფული გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, მაგრამ მასა და მის ცოლს აღუკრძალეს სამინისტროში მისვლა მას შემდეგ, რაც ისინი ხელ-ახლად თხოულობდნენ ფულს, მას აქეთ ქ-ნი ოლშევსკი ხშირად იყო ფრიად აღელვებული; ესროლა მან პირველს მინისტრის ეტლს, რომელმაც ახლოს გაიარა; რევოლვერში მხოლოდ ერთი პატრონი იყო. დაპატიმრებულს ქალს არ უნდა მეტი რამის თქმა; სხვა ჩვენება სურს მოახსენოს მხოლოდ საკრებულოს (სასამართლოს?)

ევქსინოგრადი. შაბათს, ბურგასში, „როსტისლავში“ გამართულ სადილზედ დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ და თავადმა ფერდინანდმა ურთ-ერთის სადღეგრძელო მიირთვეს. დიდმა მთავარმა, გადაუხადა-რა მადლობა ძმურად მიღებისათვის და განაცხადა თვისი სიხარული ყველა ნახულისა გამო, მიირთვა სადღეგრძელო თავადისა და ბოლგარიისა და უსურვა კეთილდღეობა თავისუფალს ბოლგარიას, ამხანაგობა ბოლგარიისა და რუსეთის ჯარებსა და აზრთა ერთობა ორივ მართლმადიდებელ ქვეყანას შორის. თავადმა მიუგო მადლობის გამოცხადებითვე ხელმწიფე იმპერატორისადმი იმის გამო, რომ საიმპერატორო გვარეულობის წარმომადგენელი იმ განზრახვითაა გამოგზავნილი, რომ ინახულოს ბოლგარიის სახელმწიფოს მეთაური და ბოლგარიის ერის ყოფა-მდგომარეობა. შემდეგ, მოიგონა რა დიდნი საქმენი მართლმადიდებლის რუსეთისანი აღმოსავლეთის ქრისტიანე ხალხებისადმი მიმართულნი, განსაკუთრებით ბოლგარიის ხალხის განთავისუფლება და ბოლგარიის ჯარის გაწვრთნა, თავადმა სთხოვა დიდს მთავარს მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს გულითადი მადლობის გრძნობანი რუსეთისადმი, რითაც გამსჭვალულნი არიან ბოლგარელნი. თავადმა მიირთვა შემდეგ სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრისა. დიდმა მთავარმა გუშინდელი დღე „როსტისლავში“ გაატარა, სადაც წირვა იქმნა გადახდილი და გამართულ იქმნა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ: დიდი მთავარი, თავადი ფერდინანდი, რუსეთის სადიპლომატო აგენტი, ბოლგარიის მიტროპოლიტი, თავად ფერდინანდის მხლებელნი და „როსტისლავის“ ოფიცერნი. საღამოს დიდი მთავარი გამოემშვიდობა და კიუსტენჯეში წავიდა.

ბუხარესტი. რუმინიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ფერდინანდი დილით კიუსტენჯეში მივიდა და მხურვალედ შეეგებნენ მას. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა „როსტისლავი“ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძითურთ. მემკვიდრე პრინცმა მიიღო „Regel Karol“-ის გემში რუსეთის ელჩი ფონტონი, რუსეთის მთავარი ელჩი გალაცში ლადიჟენსკი და ინგლისის გემის „Cockatrice“-ს უფროსი გამილტონი. შუადღისას ტახტის მემკვიდრე სტურძის თანამხლებლობით „როსტისლავში“ მივიდა და მას შეეგებნენ რუმინიის საერო ჰიმნით. პრინცმა გადასცა დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს რუმინიის ვარსკვლავის ორდენი 1 ხარისხისა. შემდეგ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ფონტონისა და ლადიჟენსკის თანამხლებლობით „Regel Karol“-ში მივიდა, სადაც მას რუსეთის ჰიმნით შეეგებნენ. საღამოს „Regel Karol“-ში სადილი იქმნა გამართული.

კიუსტენჯე. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ხვალ ქალაქს ინახულებს. მისმა უმაღლესობამ მიიღო ინგლისის სამხედრო გემის „Cockatrice“-ის უფროსი.

რუმინიის გაზეთები თანაგრძნობით შეეგებნენ დიდის მთავრის მოგზაურობასა და სწერენ, რომ ამ მგზავრობას საპოლიტიკო ხასიათი არა აქვსო. „როსტისლავი“-ს შესვლა რუმინიის ნავთსადგურში იმის დამამტკიცებელია, რომ დიდის მთავრის მიერ ბოლგარიის ერისადმი მიმართული თანაგრძნობა რუმინიისადმი წინააღმდეგობას არა ნიშნავსო.

4 ივლისი

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი ავად გახდაო. „Новое Время“ სწერს, Ясная Полна-ში შეკრებილ მკურნალებმა აღიარეს, რომ გრაფი ფრიად უიმედო მდგომარეობაშია.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. როცა შეეკითხნენ, ბროდრიკმა მიუგო, რომ სამხრეთ აფრიკის ქვეითა ჯარის გაყვანისა და ომიანობის არსებულ წესრიგის შეცვლის შესახებ მიღებულ ცნობას არავითარი ოფიციალური საფუძველი არა აქვსო. ამ საგნის შესახებ სხვა რამის განმარტება ბროდრიკს არა სურს.

ნიჟნინოვგოროდი. დღეს ღამით გაჩენილ ცეცხლმა ვოლგაზედ სურმოვის მახლობლად გაანადგურა ორი გემი, ერთი რკინით და მეორე ნავთით სავსე. სხვა გემები ცეცხლისაგან დაიხსნეს.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივლისი.

	მყიდველნი		გამყიდველნი		გარიგებანი	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
5%-ნი მომგებიან-გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	—	„	—	„	225	
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	—	„	—	„	87½	
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	—	„	—	„	—	„
5% იმავე ბანკისა.	—	„	—	„	—	„
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	—	„	—	„	—	„
4½% იმავე ბანკისა	—	„	—	„	—	„
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	—	„	—	„	$97\frac{7}{8}$	
4½% იმავე საზოგადოებისა. . .	—	„	—	„	85	
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	—	„	—	„	395	
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	—	„	—	„	315	

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 6 ივლისს, დღის 12 საათზედ, ვოკზალს იქით მდებარე ქალაქის რეზერვუართან საცხოვრებელ სახლის ასაშენებლად, რომელიც სულ 1200 მან. ეღირება, **საჯარო ვაჭრობაა დანიშნული.**

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ საჭირო პირობები ქალაქის გამგეობის წყლის გამყვანს განყოფილებაში ნახიან ხოლმე ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 3 საათამდე. (3—6—3)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წლიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისი. (24—133—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Іюня 1901 г.
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დვრის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე